# შპს ,,სტუდია მაესტრო"
# დამოუკიდებელი აუდიტორის
# დასკვნა და ფინანსური ანგარიშგება საანგარიშო წლისათვის,
# რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს

# ანგარიშგება რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბრით

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებულ წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე, რომელიც ასახავს საანგარიშგებო პერიოდში ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას, წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და აქტივების ცვლილებას, პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა განისაზღვრება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, რომელიც ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების დაცვასთან ერთად, მოიცავს:

შიდა კონტროლის სისტემის შექმნას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შედცომის ან თაღლითობის გამო ფინანსურ ანგარიშგებაზე დაშვებული არსებითი შეცდომების გამოვლენა;

განცხადებას, არის თუ არა არჩეული და გამოყენებული შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა;

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით, პროგნოზირებად მომავალში საწარმო ფუნქციონირებას არ შეწყვეტს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას აუდიტორი პასუხისმგებელია:

მოახდინოს წინდახედული და არსებითი შეფასებები;

საეთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ.

# აუდიტორული დასკვნა

## შპს ,,სტუდია მაესტროს" 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე

დამოუკიდებელმა აუდიტორ ნოდარ კვანტალიანმა (სერთიფიკატი ზოგად აუდიტში ზ N5/496, რომელიც რეგისტრირებულია საქ. ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში სარეგისტრაციო ნომრით SARAS-A-680113) შპს ,,სტუდია მაესტროსა" და ჩემს შორის 2017 წლის 5 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ჩავატარე შპს ,,სტუდა მაესტროს" (შემდგომში საზოგადოება) 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რაც მოიცავს:

საანგარიშო პერიოდის დასრულებისათვის, საზოგადოების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების (ბალანსი) აუდიტს;

საანგარიშო პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგების აუდიტს (მოგება-ზარალის ანგარიშგება);

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების აუდიტს;

ფულადი ნაკადების ანგარიშგების და განმარტებითი შენიშვნების აუდიტს, იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბრით.

### ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე. ეს პასუხისმგებლობა მოიცავს: ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის საჭირო შიდა კონტროლის სისტემის შექმნას და გამოყენებას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შეცდომის ან თაღლითობის გამო ფინანსურ ან გარიგებაში დაშვებული არსებითი შეცდომის გამოვლენა, შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევას და გამოყენებას, სააღრიცხვო შეფასებების გონივრულ გამოყენებას.

### აუდიტორთა პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია, ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი ტარდება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები აუდიტორისგან მოითხოვს, რომ დაიცვას ეთიკის მოთხოვნები და დაგეგმოს და განახორციელონ აუდიტი

გონივრული რწმუნების მოსაპოვებლად იმის შესახებ, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება თავისუფალი არსებითი უზუსტობებისაგან.

აუდიტი მოიცავს პროცედურების განხორციელებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ინფორმაციაზე. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის მსჯელობაზე, მათ შორის ფინანსურ ანგარიშგებაში როგორც თაღლითობით, ისე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების რისკის შეფასებაზე, ამ რისკის შეფასებისას, აუდიტორი ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემას, რომელიც შეესაბამება ორგანოზაციის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებას და სამართლიან წარდგენას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკის და ბუღალტრული შეფასებების შესაბამისობის შეფასებას.

## დასკვნა

ჩემი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად ასახავს საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრისათვის, მისი საქმიანობის შედეგებს, ფულადი ნაკადების მოძრაობას და 2016 წლის განმავლობაში საკუთარ კაპიტალში ცვლილებებს, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და თანხვედრაშია საქართველოში მოქმედ საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან.

აუდიტორი:
ნოდარ კვანტალიანი

თბილისი
2017 წლის 28 აპრილი

## ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი განმარტება

შპს ,,სტუდია მაესტრო" რეგისტრირებულია ქ.თბილისის რეგიონალურ საგადასახადო ინსპექციაში და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 236080557. საზგადოება ახორციელებს სატელევიზიო პროგრამების შექმნისა და სატელემაუწყებლობის საქმიანობას.

## ფინანსური ანგარიშგების შედგენისა და შეფასებებისას გამოყენებული მეთოდები

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოში ზოგადად აღიარებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად. ანგარიშგება შედგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტა ლარში.

**ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია შეძენის ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის თანხით.

**სასაქონლო მატერიალური მარაგები**

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელიც გაანგარიშებულია საშუალო შეწონილი მეთოდით.

**დებიტორები და კრედიტორები**

დებიტორ-კრედიტორები აღირიცხება მათი ნომინალური ღირებულებით, აღრიცხვისას გამოყენებულია საქართველოში აღიარებული სააღრიცხვო პრინციპები. დებიტორების ნომინალური ღირებულება არ არის შემცირებული საეჭვო ვალების და რეზერვის თანხებით.

**გადასახადები, გადავადებული გადასახადები**

გადასახადების გამოანგარიშება საზოგადოებაში წარმოებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით.

**შემოსავლები**

შემოსავლები აღიარებულია საზოგადოების მხრიდან მომსახურების გადაცემის მომენტში. ძირითად შემოსავალს წარმოადგენს სარეკლამო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები.

**ხარჯები**

ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯების მუხლებად წარმოდგენილია პერიოდის შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული დანახარჯები.

დანართი N1 საზოგადოების ბალანსი, დანართი N2 საზოგადოების მოგება-ზარალი 2016 წლის.

აუდიტორი:
ნოდარ კვანტალიანი
თბილისი
2017 წლის 28 აპრილი

აუდიტორი ნოდარ კვანტალიანი

დანართი №1

ფინანსური ანგარიშგება (ბალანსი)
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| შპს "სტუდია მაესტრო" | შენიშვნა | 31.12.2015 | 31.12.2016 |
|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | |
| **მოკლევადიანი აქტივები** | | | |
| ფულადი სახსრები | | 184 086 | 25 632 |
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | | -765 797 | 191354 |
| სასაქონლო მატერიალური ფასეულობები | | 80 947 | 81 260 |
| სხვა მიმდინარე აქტივები | | 13 800 941 | 2 435 494 |
| **სულ მოკლევადიანი აქტივები** | | **13 300 177** | **2 733 740** |
| **გრძელვადიანი აქტივები** | | | |
| ძირითადი საშუალებები | | 8 223 812 | 5 102 710 |
| არამატერიალური აქტივები | | | 61553 |
| **სულ გრძელვადიანი აქტივები** | | **8 223 812** | **5 164 263** |
| **სულ აქტივები** | | **21 523 989** | **7 898 003** |
| **კაპიტალი რეზერვები და ვალდებულებები** | | | |
| **მიმდინარე ვალდებულებები** | | | |
| კრედიტორული დავალიანება | | 3 472 250 | -14 256 608 |
| საგადასახადო ვალდებულება | | | -5315197 |
| გადასახდელი ხელფასები | | | |
| სხვა დარიცხული ვალდებულებები | | 15 274 513 | |
| **სულ მიმდინარე ვალდებულებები** | | **18 746 764** | **-19 571 805** |
| **გრძელვადიანი ვალდებულებები** | | | |
| გრძელვადიანი ვალდებულებები | | 34 460 186 | -33 133 733 |
| **სულ გრძელვადიანი ვალდებულებები** | | **34 460 186** | **-33 133 733** |
| **სულ ვალდებულებები** | | **53 206 950** | **-52 705 538** |
| **კაპიტალი** | | | |
| საწესდებო კაპიტალი | | | 2000 |
| აკუმულირებული ზარალი | | | 43505612 |
| რეზერვები და სხვა | | -31682961 | 1303923 |
| **სულ კაპიტალი** | | **31682961** | **44807535** |
| **სულ კაპიტალი და ვალდებულებები** | | **21 523 989** | **7 898 003** |

უფლებამოსილი პირი _____

აუდიტორი ნოდარ კვანტალიანი

დანართი №2

## მოგება-ზარალის ანგარიში 2016 წლის

შპს "სტუდია მაესტრო"

| მოგება-ზარალის ანგარიში | 2016 წელი |
|---|---|
| შემოსავალი რეალიზაციიდან | 5 584 480 |
| რეალიზებული პროდ. თვითღირებულება | |
| მთლიანი მოგება | |
| | |
| საოპერაციო ხარჯები | 15 168 207 |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 1 133 809 |
| **სულ საოპერაციო ხარჯები** | **16 302 016** |
| **სულ საოპერაციო მოგება** | |
| არასაოპერაციო მოგება | 0 |
| არასაოპერაციო ზარალი | 0 |
| **სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი** | **-10 717 536** |
| **მოგება დაბეგვრამდე** | |
| მოგების გადასახადი | |
| **წმინდა მოგება** | |

უფლებამოსილი პირი _____

ი/მ "ლეგალ დეპარტამენტი" * LEGAL DEPARTMENT LTD * GEORGIA. "STUDIO MAESTRO" * 236080557 *